წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2024 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას აქცევს იმ სიახლეებს, რომელსაც ჩვენი სახელმწიფო ახორციელებს გენდერული თანასწორობის კუთხით.

2015 წლის 25 დეკემბრის N205 განკარგულებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეიქმნა საკონსულტაციო–სათათბირო ორგანო „გენდერული თანასწორობის საბჭო". ბიუჯეტი 2024 წლისთვის შეადგენდა 7000ლ.

მეცხრე წელია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან ფუნქციონირებს საკონსულტაციო–სათათბირო ორგანო „გენდერული თანასწორობის საბჭო". ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერითა და თანადგომით წყალტუბო არის პირველი მუნიციპალიტეტი იმერეთის რეგიონში სადაც შექმნილია ეს საბჭო. იგი უფლებამოსილია გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით წარმოადგინოს მუნიციპალიტეტი სახელმწიფო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობებში;

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები არიან: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს სამსახურებისა და განყოფილების უფროსები, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეები, 5 არასამთავრობო ორგანიზაცია და სხვა. აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ თვითმმართველობის ეროვნულ ასოციაციასთან (ათეა). სულ 34 წევრი, აქედან 21 ქალი და 13 კაცი.

ჩატარებულია 3 სხდომა (12 თებერვალი, 12 ივლისი და 29 ნოემბერი) სადაც განხილული იქნა შემდეგი საკითხები:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2024 წლის სამოქმედო გეგმის შესახებ.(დანართი 1)

/ თ. ჭეიშვილი /

2. ქალთა მიმართ ძალადობა, ოჯახში ძალადობა და ადრეულ ასაკში ქორწინება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2023 წლის სტატისტიკის შესახებ. (დანართი 2)

/ ს. ბერძენაძე /

3. 2024 წლის სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრების შესახებ.

/ ი. ხელაძე /

4. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიური, სტრატეგიული დოკუმენტის პროექტის გაცნობა 2020-2024-2027 წლები.

(მ. კანკაძე)

5. სპორტი და გენდერული თანასწორობა.

/ ფ. გაგოშიძე /

6.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის, სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებში, 2024წ. მიღებული ახალი ინიციატივების შესახებ.

/ ნ. ჩაკვეტაძე /

7.გენდერული თანასწორობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში.

/ მ. ჭელიძე /

8.წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ახალი პროგრამების განხილვა გენდერული კუთხით.

/ ი. ხელაძე /

9. 16 დღიანი კამპანია გენდერული ძალადობის წინააღმდეგ, 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით. (დანართი 1)

/თ.ჭეიშვილი /

10. ქალთა მიმართ ძალადობა, ოჯახში ძალადობა და ადრეულ ასაკში ქორწინება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2024 წლის სტატისტიკის შესახებ. (დანართი 2)

/ ნ. ლომსიანიძე /

11. მინი პროექტი „ 16 აქტიური დღე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“ (დანართი 3)

/ ლ. აშორდია /

12. პროექტი მდგრადი განვითარების კონცეფციის საკითხების განხორციელება სსიპ ოტია იოსელიანის სახელობის ქალაქ წყალტუბოს №1 საჯარო სკოლაში და „შეცვალე რეალობა“ (დანართი 4)

/ფ. ფანჩულიძე /

დეპუტატებმა განიხილეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2024 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების საკითხი.

2024 წლის იანვარში ჩატარდა საკრებულოს მორიგი სხდომა, საკრებულოს თავმჯდომარემ (გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე) ბატონმა თეიმურაზ ჭეიშვილმა წარმოადგინა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. საანგარიშო პერიოდი 2024 წლის იანვარი - 2024 წლის ნოემბერი. ერთ-ერთი საკითხი იყო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მუშაობის შესახებ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტი დიდი ყურადღებას აქცევს სიახლეებს, რომელსაც ჩვენი სახელმწიფო ახორციელებს გენდერული თანსწორობის კუთხით. ისაუბრა საბჭოს შექმნისა და აქტიური მუშაობის შესახებ, მის შემადგენლობასთან დაკავშირებით რამდენი წევრისგან შედგება, როგორ არის გენდერული ბალანსი დაცული და ბიუჯეტის თემა, ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერითა და თანადგომით წყალტუბო არის პირველი მუნიციპალიტეტი იმერეთის რეგიონში სადაც შეიქმნა საბჭო.
რა ცვლილებები მოხდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2024 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების დროს: სპორტი და გენდერული თანასწორობა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის, სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებში, 2024წ. მიღებული ახალი ინიციატივების შესახებ, გენდერული თანასწორობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ახალი პროგრამების განხილვა გენდერული კუთხით, 2024წლის სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრების შესახებ და სხვა საკითხები. გენდერული თანასწორობის საბჭოს თანამშრომლობა მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსთან, ხონის, სამტრედიის, სენაკის და სხვა მუნიციპალიტეტებთან, ქალაქის სკოლებთან, პოლიციასთან და სხვა.

ისეთი სოლიდური საერთაშორისო ორგანიზაცია, როგორიცაა გაერო, მრავალ დადგენილებას (რეზოლუციას) იღებს არა მარტო გენდერული თანასწორობის მისაღწევად მთელს მსოფლიოში, არამედ შიდასტრუქტურულ, საშტატო განაკვეთში გენდერული სიმეტრიის დასამკვიდრებლად. 2000 წლის 31 დეკემბერს გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე მიღებულ იქნა № 1325- ე რეზოლუცია, როემლიც გაეროს წევრ სახელმწიფოებს ავალებს ცხოვრებაში გაატარონ გაეროს წესდებით

განსაზღვრული ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის პოსტულატები ჯერ კიდევ 20 წლის წინ ქალთა საერთაშორისო მოძრაობის ლიდერებმა გადაწყვიტეს ლობირება გაეწიათ ისეთი კონვენციისათვის, რომელიც აღნიშნავდა ქალთა სპეციფიკურ როლს, მნიშვნელობას ძალადობის დეესკალაციისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში. № 1325 - ე რეზოლუციაში ხაზგასმულია ქალის მნიშვნელობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ქალთა ჩართვის აუცილებლობა ჰუმანიტარულ და ადამიანთა უფლებების დამცველ მისიებში. ასევე აუცილებელია მათი დანიშვნა ე.წ. სპეციალური წარმომადგენლების პოსტებზე. საჭიროა, სათანადო ყურადღება მიექცეს ქალისა და გოგონას სპეციფიკურ მოთხოვნილებებს ომისა და ომის შემდგომ პერიოდში. ამგვარი დებულება ხაზგასმულია ჟენევის კონვენციაში. შეიარაღებული კონფლიქტის დროს ქალები დაცულნი იყვნენ სექსუალური ძალადობისგან. დოკუმენტში კატეგორიულადაა მინიშნებული, რომ გაუპატიურების დანაშაული არ ექვემდებარება ამნისტიას. გენერალურ მდივანს ევალება ქალზე ომის გავლენის შესახებ კვლევის ჩატარების უზრუნველყოფა და სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესში ქალთა აქტიური ჩაბმის ხელშეწყობა.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი იღებდა მონაწილეობას გაეროს რეზოლუცია 1325 - ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება.

კამპანია - „16 აქტიური დღე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“ დაიწყო. კამპანიის მიზანია ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და საზოგადოების გაერთიანება ქალთა უფლებების წინააღმდეგ.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია უერთდება ქალთა მიმართ ძალადობის კამპანიას და საინფორმაციო შეხვედრებს მართავს.
8 დეკემბერს მერიაში იძულებით გადაადგილებულ პირთა ორგანიზაცია „თანხმობის“ წარმომადგენლებმა, საინფორმაციო შეხვედრა გამართეს, სადაც ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციულ ღონისძიებებზე ისაუბრეს. შეხვედრას სოციალური და ჯანმრთელობის დაცვისა სამსახურის, საფინანსოსა და ქონების მართვის სამსახურის უფროსები და თანამშრომლები ესწრებოდნენ.
შეხვედრა გახსნა მერის მრჩეველმა გენდერულ საკითხებში ირმა ხელაძემ და აღნიშნა რომ მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობა ადმინისტრაციულ ერთეულებში მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრებს გამართავს და კიდევ ერთხელ განუმარტავს იმ სერვისებს რასაც სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტიდან მსხვერპლს მხარდაჭერის კუთხით სთავაზობს.
ძალადობის მსხვერპლის საკონსულტაციო ცხელი ხაზი დარეკვა შესაძლებელია 24 საათის განმავლობაში ანონიმურად, უფასოდ, ნებისმიერი ოპერატორიდან 116006

სახალხო დამცველის აპარატის ცხელი ხაზი 1481.
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა 595952259
<u>6 დეკემბერი</u>

მუნიციპალიტეტის გენდერულმა თანასწორობის საბჭომ ი.გ.პ. ასოციაცია „თანხმობასთან“ ერთად 6 დეკემბერს ჩაატარა შეხვედრა „ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებთან“ დაკავშირებით ქალაქ წყალტუბოში აფხაზეთის ქუჩაზე მცხოვრებ დევნილ ქალბატონებთან და ქალაქ წყალტუბოს სასტუმრო „პრომეთეს“ მომსახურე ქალბატონ პერსონალთან.

კამპანიის მიზანია ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და საზოგადოების გაერთიანება ქალთა უფლებების დაცვისათვის. ა რ ა ძ ა ლ ა დ ო ბ ა ს!
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი აქტიურად არის ჩართული მსოფლიო საერთაშორიშო 16 დღიან კამპანიაში "არა ძალადობას".
მუნიციპალიტეტის გენდერულმა თანასწორობის საბჭომ ი.გ.პ. ასოციაცია „თანხმობასთან“ ერთად 4 დეკემბერს ჩაატარა ტრენინგ-სემინარი „ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებთან“ დაკავშირებით. ტრენინგში მონაწილეობდა საჯარო მოხელეები და მოქალაქეები. 16 დღის განმავლობაში ჩატარებული იქნება სხვადასხვა სახის ღონისძიებები და შეხვედრები
XXI-ე საუკუნეში ცნობიერების ამაღლება ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით გათვიცნობიერებული უნდა იყოს. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის "გენდერული თანასწორობის საბჭო" აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს პარლამენტის "გენდერულ თანასწორობის საბჭოსთან" და სხვა მუნიციპალიტეტის "გენდერული თანასწორობის საბჭოებთან"

29 ნოემბერს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „გენდერულმა თანასწორობის საბჭომ“ ჩაატარა რიგით მესამე სხდომა.
მოწვეული სტუმრები: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი გენადი ბალანჩივაძე, რაიონული სამმართველოს გამომძიებელი ნინო ლომსიანიძე.
სხდომას ესწრებოდა სულ 23 წევრი, აქედან ქალი – 14, კაცი – 9
1. 16 დღიანი კამპანია გენდერული ძალადობის წინააღმდეგ, 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით. /თ.ჭეიშვილი /
2. ქალთა მიმართ ძალადობა, ოჯახში ძალადობა და ადრეულ ასაკში ქორწინება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2024 წლის სტატისტიკის შესახებ./ ნ. ლომსიანიძე /
3. მინი პროექტი „ 16 აქტიური დღე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“ / ლ. აშორდია /
4. პროექტი მდგრადი განვითარების კონცეფციის საკითხების განხორციელება სსიპ ოტია იოსელიანის სახელობის ქალაქ წყალტუბოს N1 საჯარო სკოლაში და „შეცვალე რეალობა „ / ფ. ფანჩულიძე /

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ ისაუბრა 16 დღიან კამპანიასთან დაკავშირებით "არა ძალადობას", რომელშიც აქტიურად არის ჩართული წყალტუბოს მუნიციპალიტეტი

სამმართველოს გამომძიებელმა ნინო ლომსიანიძემ საბჭოს გააცნო 2024 წლის სტატისტიკა ოჯახური ძალადობის, სექსუალური შევიწროებისა და ადრეულ ასაკში ქორწინების ფაქტების შესახებ.

წარმოდგენილი იქნა მინი პროექტი " 16 აქტიური დღე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ" ი.გ.ქ. ასოციაცია "თანხმობას" მიერ, რომელიც განხორციელდება ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთობლივად. საბჭოს წევრებმა დადებითად შეაფასეს წარმოდგენილი პროექტი.

კვირეულთან შესაბამისი პროექტი იქნა წარმოდგენილი N1 საჯარო სკოლის დირექტორის ფაქიზო ფანჩულიძის მიერ - მდგრადი განვითარების კონცეფციის საკითხების განხორციელება სსიპ ოტია იოსელიანის სახელობის ქალაქ წყალტუბოს N1 საჯარო სკოლაში და „შეცვალე რეალობა „

თავისი მოსაზრება გამოთქვა გენდერულ თანასწორობასთან და განხორციელებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით ქალაქის მერმა ბატონმა გენადი ბალანჩივაძემ

კამპანიის დღეებში აღინიშნა სხვადასხვა თარიღი:

25 ნოემბერი - ქალთა მიმართ ძალადობის დასასრულის საერთაშორისო დღე

29 ნოემბერი - უფლებადამცველ ქალთა საერთაშორისო დღე

1 დეკემბერი - შიდსის საერთაშორისო დღე

2 დეკემბერი - ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის დღე

3 დეკემბერი - შშმ პირთა საერთაშორისო დღე

5 დეკემბერი - მოხალისეთა და ეკონომიკური განვითარების საერთაშორისო დღე

6 დეკემბერი - მონრეალში მომხდარი ტრაგედიის ხსოვნის დღე

10 დეკემბერი - ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღე

16 დღის განმავლობაში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭომ ჩაატარა შეხვედრები და ღონისძიებები მუნიციპალიტეტის მასშტაბით.

„გენდერული თანასწორობის საბჭოსთან“, არასამთავრობო ორგანიზაცია „კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდის სოხუმის“ მიერ შექმნილია „ქალთა კლუბი“, სადაც გაერთიანებული არიან როგორც საბჭოს წევრები, ასევე სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები. თვეში ერთხელ ვატარებთ შეხვედრებს: ახალგაზრდები, სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები, საჯარო მოხელეები, წარმატებული ქალბატონები და სხვა.

<u>7 მარტი</u>

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭომ ქალთა საერთაშორიშო დღე და დედის დღე მიულოცა სოციალური მომსახურების სააგენტოს წყალტუბოს სერვის ცენტრს, სადაც დასაქმებულია 14 ქალი.

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ბატონმა კობა გურეშიძემ, საკრებულოს წევრმა არჩილ ღიბრაძემ ყვავილები გადასცა, გაზაფხულის შემობრძანება მიულოცა და ბედნიერი დედობა უსურვა მომსახურე ქალბატონებს.
მართლაც რომ „გაზაფხული შემოსულა ლენ" ასეთი ლამაზი ხომ არაფერია, როგორც ქალი და გაზაფხული. გენდერული თანასწორობის საბჭო აქტიურად გააგრძელებს შეხვედრებს.

სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებს ვესაუბრეთ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმატებული საქმიანობის შესახებ.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ თეიმურაზ ჭეიშვილმა და მერმა გენადი ბალანჩივაძემ ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის'' თანამშრომლებს დედის დღე მიულოცეს.

ადგილობრივმა თვითმმართველობის პირველმა პირებმა ქალბატონებს ყვავილების თაიგული და სიმბოლური საჩუქრები გადასცეს.

21 მარტი დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეა. აღნიშნულ დღესთან დაკავშირებით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილი და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები ა(ა)იპ „ბავშთა ინკლუზიურ ცენტრს" ესტუმრნენ და ბენეფიციარებს სიმბოლური საჩუქრები გადასცეს.

2023 წელს, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღის გზავნილია - „ჩვენთან ერთად და არა ჩვენთვის". მთავარ მიზანს წარმოადგენს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება დაუნის სინდრომის მქონე ადამიანთა მხარდასაჭერად.

12 თებერვალს 12:00 საათზე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „გენდერულმა თანასწორობის საბჭომ" ჩაატარა რიგით პირველი სხდომა.
მოწვეული სტუმრები: სიმონ ბერძენაძე - იმერეთის პოლიციის დეპარტამენტის წყალტუბოს რაიონული სამმართველოს გამომძიებელი, სნეჟანა ჯოლოხავა - საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილების სპეციალისტი.

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2024 წლის სამოქმედო გეგმის შესახებ. (დანართი 1) / თ. ჭეიშვილი /
2. ქალთა მიმართ ძალადობა, ოჯახში ძალადობა და ადრეულ ასაკში ქორწინება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2023 წლის სტატისტიკის შესახებ. (დანართი 2) / ს. ბერძენაძე /
3. 2024 წლის სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრების შესახებ. / ი. ხელაძე /
4. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიური, სტრატეგიული დოკუმენტის პროექტის გაცნობა 2020-2024-2027 წლები. / მ. კანკაძე /
საბჭომ ერთობლივად დაუჭირა მხარი 2024 წლის სამოქმედო გეგმას და მიიღეს გადაწყვეტილება ერთობლივად შეასრულონ სამუშაო პროექტები, რომლებიც წარმოდგენილია 2024 წლის სამოქმედო გეგმაში (https://tskaltubo.gov.ge/genderuli-sabtcho/)
2024წ. ქალთა მიმართ ძალადობა, ოჯახში ძალადობა და ადრეულ ასაკში ქორწინებაზე - ისაუბრა რაიონული სამმართველოს გამომძიებელმა სვიმონ ბერძენაძემ და გაგვაცნო მუნიციპალიტეტში არსებული მონაცემები.
გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრმა ლეილა აშორდიამ წარმოგვიდგინა საინფორმაციო ბროშურა „ სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების გზამკვლევი წყალტუბოში მცხოვრებთათვის 2024 წელი“
სიტყვით გამოვიდნენ და თავიანთი აზრი დააფიქსირეს მოწვეულმა სტუმრებმა, განაცხადეს რომ სამომავლოდაც გააგრძელებენ საბჭოსთან თანამშრომლობას.

ყოველ თვეში ერთხელ ვატარებთ „ქალთა კლუბის“ შეხვედრას საკრებულოს სხდომათა დარბაზში, ზოგჯერ მერიის სხდომათა დარბაზში.

<u>26 იანვარი</u>

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ, "წყალტუბოს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2024წელს განსახორციელებელი სამოქმედო გეგმა" დაამტკიცა.

17 მაისი ოჯახის სიწმინდის დღეა.

18 მაისი ეროვნული სამოსის დღე.

12 ივლისს 12 საათზე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „გენდერულმა თანასწორობის საბჭომ“ ჩაატარა რიგით მეორე სხდომა. წარმოდგენილი იყო შემდეგი საკითხები:
1. სპორტი და გენდერული თანასწორობა. / ფ. გაგოშიძე /
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის, სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებში, 2024წ. მიღებული ახალი ინიციატივების შესახებ. / ნ. ჩაკვეტაძე /

3. გენდერული თანასწორობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში.
/ მ. ჭელიძე /

4. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ახალი პროგრამების განხილვა გენდერული კუთხით. / ი. ხელაძე /

საბჭოს წევრების მიერ დადებითად იქნა შეფასებული წარმოდგენილი საკითხები.

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯომარე გამოვიდა ინიციატივით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გენდერული თანასწორობის საბჭოს ბალანსზე არსებული თანხის გაზრდასთან დაკავშირებით, რომელიც მომავლისთვის მოხმარდება - საინფორმაციო ხასიათის ტრენინგებს, შეხვედრებს, ღონისძიებებისა და კონფერენციების ჩატარებას.

29 სექტემერი სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების შესახებ ცნობიერების ამაღლების საერთაშორისო დღე.

მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო უერთდება ქვეყნის მასშტაბით ჩატრებულ სამოქალაქო თუ რელიგიურ დღესასწაულებს.

27 ოქტომბერი მასწავლებლის ეროვნული დღე. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭომ მიულოცა მასწავლებლებს ეროვნულ დღე.

რაც შეეხება სპორტთან დაკავშირებულ საკითხებს, შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ ჩვენს მუნიციპალიტეტში სპორტისა და გენდერული თანასწორობის თანხვედრა. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭომ გამარჯვება მიულოცა მათე გველესიანს - ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის გამარჯვებული.

ჩვენი თანაქალაქელი მარიამ მაისურაძე ევროპის ჩემპიონია! ძალოსანმა ატაცში ოქროს მედალი მოიპოვა! ბუქარესტში მიმდინარე (U20) ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატის პირველ დღეს გოგონათა შორის მარიამ მაისურაძე (49 კგ.) წყალტუბოელმა ძალოსანმა მთავარი მწვრთნელის, თემურ ჯანჯღავას ხელმძღვანელობით ატაცში 68 / 72 / 74 კგ. დაძლია და ოქროს მედლის მფლობელი გახდა! გარდა ამისა მარიამ მაისურაძემ ატაცში საქართველოს რეკორდი, რომელიც მასვე ეკუთვნოდა 2 კილოგრამით გააუმჯობესა.

ილიაობა - 1837 წლის 8 ნოემბერს დაიბადა თანამედროვე საქართველოს განმსაზღვრელი და სულისჩამდგმელი, ილია ჭავჭავაძე. შემთხვევითი არაა, რომ ევროკომისიამ 8 ნოემბერს გასცა რეკომენდაცია, საქართველოს მიენიჭოს კანდიდატის სტატუსი. ილიას ოცნება, საქართველო სხვა ერთა შორის ღირსეული ეხილა ქართველები, დარწმუნებული ვარ სინამდვილედ იქცევა 15 დეკემბერს - ჩვენ გვჭირდება ევროპა, ევროპას კი ჭირდება საქართველო!

საბჭოს აქვს facebook გვერდი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო - სადაც ვაშუქებთ ჩვენს მიერ ჩატარებულ საბჭოს სხდომებს, ტრენინგ-სემინარებს, ღონისძიებებს, შეხვედრებისა და პროექტების შესახებ ინფორმაციას. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2024წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ სრული ვერსია შეგიძლიათ ნახოთ tskaltubo.gov.ge

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო მომავალ წელსაც აქტიურად გააგრძელებს თავის საქმიანობას.

მოამზადა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულ;ოს თავმჯდომარის თანაშემწე, გენდერული თანასწორობის მდივანი : /მ. კიკალიშვილი/